საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2318
07/06/2022

2318-21-2-202206071650

შპს „სილას“
მის: ქ. ახალციხე, ადიგენის ქუჩა, მიმდებარე ტერიტორია
ელ. ფოსტა: mailto:davit.nozadze@gue.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №11762 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ახალციხეში, ადიგენის ქუჩის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად), ასევე საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი;
- სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- დოკუმენტის თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან ობიექტი დაშორებულია 800 მ-ით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 90 მეტრში მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 62.09.53.923), რომელზეც განთავსებული შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- განცხადებაში მითითებულია, რომ ქვიშა-ხრეშის მსხვრევა ხდება მშრალი მეთოდით, ხოლო „დანართი 1“-ში მითითებულია, რომ „მოხდება საწარმოო წყლების გაწმენდა და ისევ გამოყენება დალექვის მეთოდით“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ქვიშა-ხრეშის გადამუშავების მეთოდი (მშრალი/სველი) და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნის საკითხი;

- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს სამეურნეო დანიშნულებით წყალაღებისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტის თანახმად, ქვიშა-ხრეშის საწარმოს წარმადობა შეადგენს წელიწადში 50 000 $მ^3$ (40 000 ტ), რაც ერთმანეთის შეუსაბამოა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში გადასამუშავებელი ქვიშა-ხრეშის წლიური მოცულობა;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების ჩამონათვალი, გენგეგმაზე დატანით, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საწარმოში გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესის სრული ციკლის შესახებ (ნედლეულის შეტანიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე);
- დოკუმენტში განხილული არ არის საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ „საქმიანობის ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება არ ხდება“. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ობიექტს აღმოსავლეთით ემიჯნება შპს „არალის“ საკუთრებაში არსებული სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო (ს/კ: 62.06.59.172). შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, კერძოდ, საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზს უახლოეს სახლამდე არსებული დაშორების გათვალისწინებით, ასევე, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებასა და ინფორმაციას ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტისა და „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო